დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109260906**
თარიღი:**31/03/2026**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და თამრიკო დალაქიშვილს შორის 2017 წლის 26 ივლისს დადებულ „იჯარის ხელშეკრულება N33"-ში ცვლილების შეტანის თაობაზე დმანისის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 2026 წლის 19 მარტის N108-1082607836 წერილისა და თამრიკო დალაქიშვილის 2026 წლის 17 მარტის N19/1082607670-108 განცხადების საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, დმანისი მუნიციპალიტეტის მერიასა და მოქალაქე თამრიკო დალაქიშვილს (პ/ნ 10002000199) შორის 2017 წლის 26 ივლისს დადებული „იჯარის ხელშეკრულება N33"-ში ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის შეთანხმება N1).

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

შეთანხმება N1

2017 წლის 26 ივლისს დადებული იჯარის ხელშეკრულება N33-ში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. დმანისი

_____ წელი

ერთის მხრივ, თამრიკო დალაქიშვილის (პ.ნ 10002000199) სახით და მეორეს მხრივ, დმანისის მუნიციპალიტეტი წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის კობა მურადაშვილის სახით (შემდგომში „მესაკუთრე") დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის ___ _____ N_____ განკარგულებისა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის ___ _____ N_____ ბრძანების შესაბამისად შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. მხარეთა შორის 2017 წლის 26 ივლისს დადებული იჯარის ხელშეკრულება N33-ის მე-2 პუნქტის 2.1 ქვეპუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.1 იჯარით აღებული მიწის ნაკვეთით სარგებლობისათვის საიჯარო ქირა წელიწადში შეადგენს სულ 150 (ასორმოცდაათი) ლარს (აღნიშნულ საიჯარო ქირაში არ შედის საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთი).

2. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2017 წლის 26 ივლისს დადებული იჯარის ხელშეკრულება N33-ის განუყოფელ ნაწილს.
3. ხელშეკრულების გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.
4. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.
5. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე და ორ ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.

„მესაკუთრე"
დმანისის მუნიციპალიტეტის მერი

„მოიჯარე"
თამრიკო დალაქიშვილი (პ.ნ 10002000199)

კობა მურადაშვილი

----------კობა მურადაშვილი

----------თამრიკო დალაქიშვილი